საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია | ხუთშაბათი, 31 ივლისი 1919 წ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 169

# ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. [illegible] სი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—[illegible] განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ვერა კონსტანტინეს ასული თოფურიძისა შვილებით: ალიოშა და ტატიანა, მშობლები ოლღა და ალექსი. და ალექსანდრა, სიდედრ სიმამრი მართა და კონსტანტინე და ბიძაშვილი ივლიანე მეუღლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, 31 ივლისს (18 ივლის ძველი სტილ.) გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ნახუტურის ეკლესიაში უსაყვარლესი

**აკაკი ალექსის ძე თოფურიძის**

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება ჩვეულებლივ, პანაშვიდი კი დილის დილის 12 საათიდან, (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი ქმარი გერასიმე, მამამთილი ეგნატე, მაზლები ვასილი, კონსტანტინე, მულები ვარვარა, მარუსია და ლიზა, სიძეები კონსტანტინე იოსავა და გრიგორი ჩიხლაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას

**მარგარიტა გიორგის ასული ხარებავასი**

დაკრძალვის დღე არის დანიშნული ხუთშაბათს 31 ივლისს ქ. ფოთში

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ანნა ივანეს ასული კალატოზიშვილისა, შვილები: არხიმანდრიტი დიონისი, პავლე, ალექსანდრე, სტანისლავი, ბრონისლავა და თამარი, რძალი ნატალია დავითის ასული, და ვირგინია ივანეს ასული, სიძეები: ვანო ჩინიჯიშვილი, გაბო ფირალაშვილი და ნიკიტა ქოქიანოვი, შვილის შვილნი მადლენა, ჭუკულა და მელქონ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ მათი ძვირფასის მეუღლისა, მამისა, სიმამრისა და ბაბუასი

**ანტონ სტეფანეს ძე კალატოზიშვილის**

რომლის დაკრძალვის დღეთ დანიშნულია 31 ივლისი. დაკრძალვა მოხდება ფრანგების ეკლესიის გალავანში ქ. ოზურგეთში.

## სახელმწიფოთა გამიჯვნის სიძნელე

თუმცა ლორის საკითხი დღეს-დღეობით ჯერ არ არის დღიურ წესრიგში დაყენებული მაგრამ სომეხ-ქართველმა ნაციონალისტებმა მის გარშემო უკვე გამაყრუებელი ღრიანცელი ასტეხეს. თავის უპირატეს უფლებას ამ კუთხის შემოერთებაზე ორივე მხარე ცდილობს, რასაკვირველია, პრინციპიალური მოსაზრება გამოუნახოს. ერთი მხარე—დაშნაკელები—რეალურ მოსახლეობის პრინციპზე მიგვითითებს და მოითხოვს, რომ ლორის საკითხი მცხოვრებთა რეფერენდუმის საშუალებით გადაწყდეს. მეორე მხარეს—ქართველ ნაციონალისტებს—რეალური მოსახლეობის პრინციპი სრულიად მიუღებლად მიაჩნია, და მოითხოვს, რომ უპირატესობა ისტორიულ პრინციპს მიეცეს.

ჩვენ უკვე გამოვთქვით ის აზრი, რომ იმისთანა რთულ და დახლართულ პირობებში, რომლებშიაც ჩვენ გვიხდება ცხოვრება, შეუძლებელია ერთი რომელიმე პრინციპი დაუდოს საფუძვლათ სახელმწიფოთა გამიჯვნის საკითხს. ჩვეულებრივ პირობებში რომ ვცხოვრობდეთ, ჩვენი ქვეყნების სხვადასხვა მცხოვრებთა სულიერი განწყობილება რომ დაწყნარებული იყოს, მათი რეალური ინტერესები რომ არ იყოს სხვადასხვა გარემოებით დაჩრდილული და მათი გათვალისწინება და ზედმიწევნით გამორკვევა რომ არ იყოს შეუძლებელი,—მაშინ საკითხის გადაჭრა არც ისე ძნელი იქნებოდა, მაშინ შესაძლებელია რომელიმე ერთი პრინციპი გამოგვენახა გადამიჯვნის საქმის მოსაგვარებლად. დღეს ცხოვრების პირობები დღითი დღე იცვლება; ის, რაც ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთათვის დღეს მისაღებია, ხვალ მათ სარგებლობას აშკარად ეწინააღმდეგება; დღევანდელი პირობები მათ ერთ მხრისკენ ეწევიან, ხვალინდელი—მეორისაკენ.

მეორე მხრით, სადავო საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს, რომ თვით მეზობელ სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობა იყოს დამყარებული. უამისოთ საკითხი გამიჯვნისა იხლართება, რთულდება და მასში თავს იჩენს ისეთი სიძნელე, რომელსაც ჩვეულებრივ პირობებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ასეთია, მაგ., სტრატეგიული მოსაზრებანი, რომელსაც სამხარ ფეხზე მდგომ სახელმწიფოთათვის მუდამ გადამჭრელი მნიშვნელობა ეძლევა და რომელიც ჩვეულებრივ, წყნარ სახელმწიფოებრივ ცხოვრების დროს სრულიადაც არ თამაშობს დიდს როლს.

მართლაც და რანაირად გნებავთ ამ მოძველებულ, დრომოჭმულ და მართლაც და გადასაგდებ მოსაზრებას ყურადღება არ მიაქციოთ იმ დროს, როდესაც ნამდვილად იცი, რომ მეზობელი სახელმწიფოს მხრით აშკარა საფრთხე მოელის ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს დემოკრატიას, ჩვენს იდეალებს? როგორ გნებავთ არ ვიფიქროთ „ბუნებრივ საზღვრების“ გამაგრებაზე იმ პირობებში, როდესაც ჩრდილოეთიდან დენიკინი გაწვება და სამხრეთიდან დაშნაკცაკანები იდუმალად, მაგრამ აშკარად თანაუგრძნობენ მას? სტრატეგიულ მოსაზრებებს, ბუნებრივად, ძალაუნებურად ეძლევა ისეთი მნიშვნელობა, რომელიც მათ არ უნდა ჰქონდეთ.

ეს გარემოება ხელს უშლის სადავო საკითხების გადაწყვეტის დროს საერთო ენის პოვნას, საერთო პრინციპების გამონახვას. რეალურ მოსახლეობის პრინციპი, მცხოვრებთა რეფერენდუმის საშუალებით განხორციელებული, ჩვეულებრივ პირობებში ძალიან მისაღები და სიმპატიურია, მაგრამ ბორჩალოს საკითხის ამ პრინციპის მიხედვით გადაწყვეტას მრავალი დაბრკოლება გადაეღობება წინ. როგორ ამოვარჩიოთ, ასე ვთქვათ, სარეფერენდუმო ერთეული? მთლათ ბორჩალოს მაზრა რომ ავიღოთ, ვთქვათ, მცხოვრებთა სამმა ნაწილმა სომხეთის მოქალაქეობა აირჩია, ორმა—აზერბეიჯანისა, ერთმა საქართველოსი. (ციფრები მხოლო სანიმუშოთ არის აღებული) ვის ვაკუთვნოთ მაზრა? სომხეთს? მაგრამ აზერბეიჯანის პარტია მოითხოვს, რომ ცალკე რეფერენდუმი მოხდეს იმ რაიონში, სადაც უფრო მეტი მუსულმანი ცხოვრობს. დავაკმაყოფილოთ, თუ ძალდატანებით შევუერთოთ სომხეთს? თუ დააკმაყოფილეთ, მაშინ ამ კუთხეშიაც მოხვდება სომხებით დასახლებული რაიონები, რომლებიც აზერბეიჯანთან შეერთებაზე არ დათანხმდებიან და ცალკე რეფერენდუმს მოითხოვენ. ასე და ამგვარათ ბოლოს იძულებული გახდებით ყოველ სოფელში, ხშირად სოფლის ნაწილშიაც, ცალკე რეფერენდუმი მოახდინოთ. და ეს უბოლოო რეფერენდუმი სახელმწიფოს სრულს უარყოფამდის მიგიყვანთ და ანარქისტების კომმუნებად დაყოფის იდეალზედაც კი შორს წაგიყვანთ.

სწორეთ ასეთ უტოპიურ ექსპერიმენტის და ავანტიურის ბეჭედი აზის—მეორე მხარის—ქართველ ნაციონალისტების — პროექტს, რომ ლორის საკითხი გადაწყდეს ისტორიულ უფლებათა მიხედვით, რომელ ისტორიულ მომენტს აირჩევთ ამ საკითხის გადასაწყვეტათ? ახლო წარსული გირჩევნიათ თუ შორეული? უეჭველია, ქართველი ნაციონალისტები იმ მომენტს აირჩევენ, როდესაც სადავო კუთხე საქართველოს საზღვრებში შედიოდა, სომეხი ნაციონალისტები კი იმ მომენტს, როდესაც იგივე კუთხე სომხეთის სამფლობელოს შეადგენდა. როგორ გადავწყვიტოთ მათი დავა? რა ნიშნით ავირჩიოთ ისტორიული მომენტი? ცხადია, რომ ისტორიული პრინციპი საკითხს სრულებით კი ვერ სჭრის, რომ ეს პრინციპი ერთი ნაბიჯითაც ვერ წაგვიყვანს წინ დავის გადაწყვეტაში.

## პრესა

ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო წაჯექ-უკუჯექობის და ქამელეონობას მიჩვეული წრეები რევოლიუციონურმა ქარტეხილმა. მათი სპეციალური დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ასიამოვნონ ვისმეს, და დღეს კი არ იციან, ვის, რომელ მებრძოლ მხარეს ასიამოვნონ. თვითმპყრობელობის დროს ცხადი იყო ნიკოლოზის მზე უნდა ეფიცათ, რევოლიუცია დაიწყო და დროებით მთავრობას უქებდენ გუნდრუკს; დღეს კი იმდენი სხვადასხვა ძალები იბრძვიან, რომ სპეციალისტი მლიქვნელები მთლად დაიფანტნენ და აღარ იციან, ვინ აირჩიონ თაყვანსაცემ საგნათ. როდესაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა კოლჩაკი სცნეს, და როდესაც დენიკინი მედგრათ მიიწევდა წინ ბალშევიკებისაკენ, მთიელთა რესპუბლიკა გადალახა და ჩვენს საზღვრებსაც მიუახლოვდა, „კ. სლოვ.“, როგორც იქნა იპოვა სათაყვანებელი ძალა და უკვე ჰიმნის კილოზე დაწერილი მოწინავე უძღვნა „მოხალისეთა ჯარს“. დღეს კოლჩაკი ისევ დამარცხდა, დენიკინსაც ცოტა არ იყოს ბედმა უმტყუნა და „კავკ. სლოვო“-ც იმას ლა ცდილობს, რომ როგორმე მოარიგოს დენიკინ-კოლჩაკი იმ პარტიებთან, რომლებიც მათ არ სცნობენ, მეტადრე მენშევიკებს და ესერებს ევედრება იგი დენიკინის მორიგებას:

„ერთის მხრით, განვლილმა ორმა წელიწადმა ნგრევისა და სამოქალაქო ომისა მეტად ბევრი ტანჯვა მოგვიტანა, და არა გვგონია ვინმემ გაბედოს. და მიხწეული აღდგენა სამშობლოსი მსხვერპლად მოუტანოს თავის დოქტრინებს. მეორეს მხრით, სამი წლის რევოლიუციის გამოცდილებამ, მეტადრე იმ პარტიულმა ბრძოლამ დროებით მთავრობაში, რომელმაც სოვნარკომის დიქტატურამდის მიგვიყვანა, უკვალოდ არ უნდა ჩაიაროს რუსეთის პასუხისმგებელ მეთაურთათვის. გარდა ამისა, თვით სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომლისაკენაც მიილტვიან ყველა ბრძოლაში ჩარეული პარტიები და მოქიშპე ორგანიზაციები, თვით იგი თავის ავტორიტეტულ სიტყვით შეარიგებს მოწინააღმდეგე ძალებს და იპოვის ისეთ გამოსავალს, რომლის წინაშეც თავს მოიხრიან უნიტარისტი სამხედრო სარდლებიც და რუსეთის განაპირა ადგილების ფედერალისტებიც“.

ჯერ კი მოურიგდით, მხარი დაუჭირეთ დენიკინს რუსეთის გაერთიანებაში, მერე იგი „თავს მოიხრის“ დამფუძნებელ კრების წინაშეო. „კავკ. სლოვო“ ერთ რამეს კი არ კითხულობს: თვით დენიკინი კი თანახმაა დამფ. კრების მოწვევისა? დაგვარწმუნებს ამაში მეგუნდრუკეთა გაზეთი?

## ყოფილ მემამულეთა ზრახვანი

უმამულოდ დარჩენილ მემამულეების პრეტენზიებს და პროვოკაციას დასასრული არ აქვს.

ეს მუდამ უქმი ხალხი უქმად არ ატარებს ამ ჟამად თავის ცხოვრების დღეებს.

ყოველგვარ ზომებს ღებულობენ, რომ დაიბრუნონ რევოლიუციის დროს ჩამორთმეული მამულები, რათა კვლავ გლეხ-კაცობის შრომით ძველებური, არხეინი ცხოვრება განაგრძონ.

„საქართველო“,—„კლდე“,—„გრუზია“, აი სად არის გამოფენილი მათი ზრახვანი!

ამტკიცებენ ყოველ დღე ამ გაზეთების პუბლიცისტები, რომ კერძო საკუთრება, რა თქმა უნდა ისეთი, როგორიც მიწების ჩამორთმევამდე სუფევდა, წმიდათა წმინდაა. ამ გვარი კერძო საკუთრების საფუძველზე შეიძლება ქვეყნად სამოთხის დამყარება და სხ.

მაგრამ, ვინაიდან ამ მწერლებმა იციან, რომ გლეხობამ კარგა ხანია გაუშინჯა ასეთ საკუთრების პრინციპს კბილები, მარტო ერთნაირი ქადაგებით არ კმაყოფილდებიან.

გ. გვაზავა მაგ., ამტკიცებს „საქართველოში“, რომ მოკავშირეთა სახელმწიფოები რუსეთის ვალის ნაწილს საქართველოს გადაახდევინებენ. და თუ მიწები კერძო საკუთრებით იქნება, ვალს ვერ შეაწერენ, როცა მიწები სახელმწიფოს ხელში იქნება მაშინ გადასახადსაც შეაწერენ და სამი მილიარდი მანეთი გადახდება ქართველ ხალხს და ეს იმ დროს, როცა ამ ფულების შერჩენა შეუძლია ხალხს, უკეთუ აგრარული რეფორმა არ გატარდებაო...

„კლდეს“ მოჰყავს ერთი უცნობი ინგლისელი დიპლომატის, თუ კომერსანტის აზრი,—რაღა ეს ქართველი ხალხი ჩასციებია სოციალიზმს, ის რომ კარგი იყოს, განა ევროპა მას საქართველოს დაუთმობდაო?!..

„საქართველო“ და „გრუზია“ აგრარულ რეფორმას ყაჩაღობას უწოდებენ: სისხლითა და ოფლით შეძენილ მიწა-წყალს მესაკუთრეთ ართმევენ სოციალისტებიო.

გამოდის, რომ მემამულეებს ათასობით დესიატინა მიწები „შეუქმნიათ“ პატიოსანი შრომით...

და ასეთი ლათაიები სჭირდებათ ყოფილ მემამულეებს იმისთვის, რომ ხალხს ჩაუნერგონ აგრარული რეფორმის საწინააღმდეგო აზრები...

თუ ეს ვერ გასჭრის, მაშინ მზად აქვთ ხალხის დაშინება გარეშე ძალის შემწეობით: შეხედეთ, ინგლისი და საერთოდ დასავლეთი ევროპა იმიტომ არ სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, რომ რესპუბლიკას სათავეში სოციალისტები უდგანანო...

ასეთ ფიქრებში ატარებენ დროს ყოფილი მემამულეები და მათი იდეოლოგები: შინ ხალხის მოტყუილება სხვადასხვა გვარი ლათაიებით და ხელის შეწყობა გარეშე ძალისთვის, რომ სამშობლოში რეაქცია გაამაგრონ.

ვინაიდან ასეთი მდგომარეობა დაუბრუნებს მათ მიწა-წყალს, არხეინ, უდარდელ ცხოვრებას...

## დამფუძნებელი კრება

29 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

**ქ. შარაშიძის** მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო. ტექსტი საქართველოს სენატის დებულების შემოღების კანონისა.

**ს. მდივანის** მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი სამხედრო კანონებისა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მოწყობისა და რესპუბლიკის სამხედრო მართველობის მოწყობის შესახებ.

**ივ. ქავჭანიძის** მოხსენებით მეხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონ პროექტი სასტატო სემინარიის დამატებითი შტატისა. მისივე მოხსენებით განხილულ და მიღებულ იქნა გზათა დეპარტამენტის შტატები და ხარჯ-აღრიცხვა. მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი 1919 წ. იანვრის 1-მდე სამხედრო სამინისტროს მიერ გაწეულ ხარჯის დასაფარავად ხუთი მილიონი მანეთის გადადებისა.

**ნ. ელიავას** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი 1916 წ. მაისის 13-ს დებულების განგრძობისა მოგებაზე გადასახადის გაწერის შესახებ.

**სვ. მდივნის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი წარსული საბიუჯეტო წლის ანგარიშების წარდგენის ვადის შეცვლისა.

**ნ. ელიავას** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ჭიათურის ქალაქის თვითმართველობისათვის ერთი მილიონი მანეთის სესხის მიცემისა.

**სვ. მდივნის** მოხსენებით მიღებულ იქნა

# დღეს

საზავო კონფერენციამ ბალტიის ზღვის კუნძულების ნეიტრალიზაცია მოახდინა. კუნძულებს გადასცემენ ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ.

უმაღლესმა საბჭომ უნგრეთის ხალხს რადიოთი აცნობა, რომ თუ ის ბელაკუნის მთავრობას გადააყენებს, უნგრეთს ბლოკადას მოხსნიან და სურსათსაც მიაწოდებენ.

ბოლშევიკების ცნობით რუმინელებთან შეჯახების თავიდან ასაცილებლათ უნგრეთის წითელმა ჯარმა თვისი ნებით უკან დაიხია.

საზავო კონფერენცია ჯარსა გზავნის ზემო სილეზიაში.

---

დეკრეტი 1919 წ. ივნისის 13 ს დეკრეტის მოქმედების განგრძობისა სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახათ ყოველთვიურათ 65,582,772 მ. გადადებისა.

**ი. ირემაშვილი** მოახსენებს კრებას დეკრეტის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებული რაზმის მოქმედების განგრძობის შესახებ—სპეკულიაციისა, კონტრ-რევოლიუციისა და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

**ლ. შენგელია.** (ს. რ.) ილაშქრებს საგანგებო რაზმის წინააღმდეგ და ამბობს, რომ რაზმს არაფერი გაუკეთებია, მისი შემადგენლობა არ არის დამაკმაყოფილებელი, მოქმედება კი არა რევოლიუციონურია და ამიტომ წარმოდგენილი დეკრეტი უარყოფილ უნდა იქნასო.

**ნ. რამიშვილი.** (შინ. საქ. მინ.) ფაქტებით ამტკიცებს, რომ საგანგებო რაზმის არსებობა საჭიროა. არ ყოფილა ისეთი რევოლიუცია, რომლის დროს დემოკრატიას არ მიემართოს არაჩვეულებრივ ადმინისტრატიულ ზომებისათვის. შემდეგ მინისტრი აღნიშნავს იმას, თუ რა გააკეთა საგანგებო რაზმმა სომხებთან ომის დროს, დენიკინთან ბრძოლის საქმეში, ყალბი ბონების მბეჭდავთა წინააღმდეგ და სხ. მინისტრის განმარტებიდან ირკვევა, რომ რაზმს დიდი საქმეები გაუკეთებია სპეკულიაციასთან და კონტრ რევოლიუციასთან ბრძოლით. დასასრულ ორატორი აცხადებს, რომ საგანგებო რაზმი იღებდა და მომავალშიც მიიღებს სასტიკ ზომებს იმათ წინააღმდეგ, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრისო. (ტაში).

**დ. ონიაშვილი** (ს. დ.) ლ. შენგელაიასი უსაფუძვლო გამოსვლას ხსნის საერთოთ სოციალისტ-რევოლიუციონერთა უტოპისტური მსოფლ-მხედველობით. ორატორი ფარდას ხდის სოც.-რევოლიუციონერების არა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, რაც შედეგია მათი ნაროდნიკული, უტოპისტური მსოფლ-მხედველობისა. ლ. შენგელაიამ სთქვა: „რაზმი ყოფილი ბოქაულებით და კონტრ-რევოლიუციონერებით არის სავსეო. ეს, ბატონებო, დემაგოგიაა. სოფელში მიტინგზე, როცა ვინმეს სიტყვა არ მოეწონებათ, დაუძახებენ: შენ ბურჟუა ხარ, კონტრ-რევოლიუციონერი ხარო. მე მიკვირს, რათ შეითვისა ასე ზედმიწევნით ბ. შენგელაიამ სოფლელის დემაგოგია. შემდეგ ორატორი ეხება სოც.-რევოლიუციონერების დღევანდელ პოზიციას და ამბობს: თქვენ, სოც. რევ. მსოფლიო ომმა და რევოლიუციამ ისე დაგიბნიათ გზა-კვალი, რომ საით წახვიდეთ არ იცის. არც წინ მიდიხართ და არც უკან- ერთ ადგილზე სდგეხართ და ნაყავთ წყალს. ჩვენ კი, თუ საჭიროებამ მოითხოვა 5 ნაბიჯს, როცა წინ გადავდგამთ ერთ ნაბიჯს უკან გადავდგამთ, ჩვენ ვდგევართ სავსებით სახელმწიფოებრივ რეალურ ნიადაგზე. თქვენ კი ბ. შენგელაია, წყალს ნაყავთ. ამიტომ ჩვენ თქვენს გზას ვერ გავყვებით და მხარს ვუჭერთ წარმოდგენილ დეკრეტს (ტაში) დეკრეტი მიღებულ იქნა.

**სოც.-დემოკრატების შეკითხვა.**

მდივანი კითხულობს სოც.-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვას ჭიათურის მუშათა საბჭოს წევრის ამხ. ხარატაშვილისათვის მოსამართლის მიერ 4 თვის სასჯელის გადაწყვეტის შესახებ. შეკითხვას ასაბუთებს **წ. გურული.** ის აღნიშნავს, რომ კოტე წერეთელი ჭიათურაში განაგებდა დაშავებულ მუშათა საქმეს. მუშები მუდამ უკმაყოფილონი იყვნენ ბ. წერეთლის მოქმედებით და ჯერ კიდევ რეაქციის დროს მოითხოვდნენ მის დათხოვნას; რევოლიუციის დროს მუშათა საბჭოს მიმართეს მუშებმა თხოვნით, რომ კოტე წერეთელი გადაეყენებიათ თავის თანამდებობიდან. მუშათა საბჭომ ამის შესახებ მიმართა მრეწველთა საბჭოს და სთხოვა წერეთლის გადაყენება. მრეწველთა საბჭომ ის არ დაითხოვა და გაიმართა მიწერ-მოწერა. მუშათა საბჭოს კი ყოველ დღე მოდიოდა მუშების მოთხოვნილება წერეთლის გადაყენების შესახებ. ბოლოს რადგანაც მრეწველთა საბჭომ არ დაითხოვა წერეთელი, მუშათა საბჭომ რევოლიუციონური გზით და საშუალებით გადააყენა ის თანამდებობიდან, რის შემდეგ მრეწველთა საბჭომ დაამტკიცა მუშათა კანდიდატი მოდებაძე რომელიც დღემდე ასრულებს ამ თანამდებობას. მუშების უკმაყოფილება წერეთლისადი იმით იყო გამოწვეული რომ ის მუშათა ინტერესებს არ იცავდა, საქმეებს აგვიანებდა და სხ. ახალი აგენტის, სარევიზიო კომისიის და მოდებაძის მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ წლების განმავლობაში მის ხელში შემოსულა სულ 1443 საქმე, აქედან დაბოლოვებულა მხოლოდ 367 საქმე, დანარჩენებისათვის მსვლელობა არ მიუცია ბ. წერეთელს და სწორედ უმთავრესად ამიტომ იყვნენ მეშები მისით უკმაყოფილო. რევოლიუციის შემდეგ, როგორც ყველგან, ჭიათურაშიც დაიწყეს სამართალში მიცემა მექრთამეებისა. საჩივრები იყო კ. წერეთელზედაც. ერთ ერთი საჩივარი იყო, სხვათა შორის მუშა მიქატაუძის მხრით, რომელსაც წერეთელი დაპირებია პენსიების საქმის გაკეთებას და ამისათვის ქრთამად 40 მანეთი გამოურთმევია, საქმე კი არ გაუკეთებია. მუშათა საბჭომ დაადგინა: დაუყონებლივ მოეთხოვოს კ. წერეთელს 40 მანეთი მიქატაუძის მისაცემათ. საბჭოს ეს დადგენილება წერეთელს აცნობა საბჭოს მდივანმა ის. ხარატაშვილმა. საბჭოს წერეთელისაგან ამის შესახებ არავითარი პასუხი არ მიუღია. მხოლოდ საბჭოში შემოსულა მუშა მიქაუტაძე და მადლობა განუცხადებია: წერეთელს მისთვის 20 მ. გადაეცა და დანარჩენი 20 მიცემას შეპირებოდა, თან მუქარაც დაუტანია: სამაგიეროს გადაგიხდითო. გავიდა დრო. ივლისში ისიდ. ხარატაშვილს მოსდის ქაღალდი, რომლიდანაც ირკვევა, რომ ის გაწვეულია სასამართლოში. წერეთლის საჩივრით ცილისწამებისათვის. 15 ივლისს იკრიბება მუშათა საბჭო და ადგენს, რომ ის. ხარატაშვილი მოქმედებდა მუშათა საბჭოს დავალებით, ის ასრულებდა მუშათა საბჭოს დადგენილებას. ხარატაშვილს კი ეთხოვოს არ დაესწროს საქმის გარჩევას. მუშ. საბჭოს დადგენილება სასამართლოში მიიტანა საბჭოს თავმჯდომარე გ. ანთელიძემ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მოსამართლემ 18 ამა ივლისს მაინც გადაუწყვიტა ხარატაშვილს 4 თვე ციხე. წერეთელი თავის საჩივარში სწერდა, რომ ხარატაშვილმა, როგორც საბჭოს წევრმა ეს და ეს მიქნაო. სჩანს, ხარატაშვილი გასამართლებულია არა როგორც ხარატაშვილი, არამედ,—როგორც მუშათა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. სოც. დემოკრატიული ფრაქცია ფიქრობს, რომ ეს არის გასამართლება ჭიათურის რევოლიუციონური ორგანიზაციის.

ზემოაღნიშნულის გამო, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციამ, მიიღო რა მხედველობაში, რომ რევოლიუციის ხანაში მუშათა დეპუტატების საბჭოები თამაშობდენ უდიდეს საზოგადოებრივ როლს და წარმოადგენდენ ადგილობრივ საქმეების მართვა გამგეობის ორგანოს, და რომ ამიტომ მუშათა დეპუტატების საბჭოების და მათი წარმომადგენლების მოქმედება წარსულში ვერ გახდება სასამართლოს პროცესიის საგნათ, ეკითხება მთავრობას: 1, იცის თუ არა მთავრობამ, რომ ჭიათურის მომრიგებელმა მოსამართლემ ამა ივლისის 18-ს გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ჭიათურის დეპუტატების საბჭოს წევრს და წარმომადგენელს ისიდორე ხარატაშვილს გადაუწყვიტა, ამ საბჭოს დადგენილების ასრულებისათვის, კოტე წერეთლის საჩივრის გამო, ოთხი თვით საპყრობილეში დაპატიმრება და 2. თუ იცის, რა ზომები აქვს მიღებული, როგორც ხსენებულ საქმის სასამართლოში მოსასპობად, ისე იმის წინააღმდეგ, რომ ასეთი მოვლენა მომავალში არ განმეორდეს.

**იუსტიციის მინისტრის პასუხი.**

**ევ. გეგეჭკორი.** 2 აპრილს 1919 წ. წერეთელმა უჩივლა ჭიათურის მუშათა საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ის. ხარატაშვილს. თავის საჩივარს წერეთელმა დაუდვა საფუძვლად ერთი დოკუმენტი, რომელიც იყო გამოსული მუშათა საბჭოს კანცელარიიდან 1917 წ. 5 მაისის თარიღით, სადაც ნათქვამი იყო მუშა მიქატაუძის 40 მანეთის შესახებ და მოითხოვა ხარატაშვილი მიცემულ ყოფილიყო სამართალში, როგორც ხარტიშვილი და როგორც მუშ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. ასეთი იყო საქმის დასაწყისი დასასრული კი შემდეგში მდგომარეობს: მოსამართლემ განიხილა საქმე და დაადგინა: ხარატიშვილი დასჯილ იქნას, როგორც ხარატიშვილი და მასთან აღნიშნა, რომ მუშათა დეპ. საბჭოს ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვსო.

ამ საქმეს ორი მხარე აქვს: ფორმალური და არსებითი პოლიტიკური. მე უპირველეს ყოვლისა უნდა შევხედო საკითხს ფორმალურად, როგორც იუსტიციის საქმეების საერთო ხელმძღვანელმა, ზედამხედველმა. თუ საქმეს ფორმალურათ შევხედავთ მე უნდა განვაცხადო, რომ მოსამართლეს არსებული კანონების მიხედვით არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. დანაშაული თუ გნებავთ სულ სხვა მხრით აოის: მოსამართლე თავის დადგენილების მოტივაციაში ამბობს, რომ მე მუშათა საბჭოს არ ვეხებიო. მუშათა საბჭო არალეგალური ორგანიზაციაა. კანონების მიხედვით ის უკანონობაა. არსებითად ამ საკითხს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. მართლა თუ დავემყარეთ არსებულ კანონებს, მაშინ მთელ ჩვენს სახელმწიფოებრივ მუშაობას თავი უნდა დავანებოთ. არ ვიცი მემარჯვენე სექტორი როგორ იგრძნობს თავს, ხოლო სოციალისტებზე ვიტყვი, რომ ისინი ძალიან ცუდათ იგრძნობენ თავს. პირადათ მე 8 თვის განმავლობაში კავკასიის მუშ დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეთ ვიყავი, და თუ გამასამართლეთ 100 წელი არ მეყოფა სასჯელათ. რევოლიუცია თავის თავად უკანონობაა.

ყოვლად დაუშვებელია გავმართოთ სასამართლო იმისათვის, რაც აწარმოვა მუშ. დეპ. საბჭოებმა პოლიტიკურის და რევოლიუციის მხრით. პირიქით, ჩვენ ყველაფერი ეს უნდა დავადასტუროთ. მე ამით ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ მუშათა დეპ. საბჭოს იმუნიტენტი მივიღოთ. არა, საბჭოს წევრი შეიძლება იქნას გასამართლებული, მაგრამ მაშინ, როცა ნივთიერის მხრით ქრთამის აღებით და სხ. დანაშაული აქვს ჩადენილი, როდესაც საბჭოს წევრი ხელმძღვანელობს თავის მოქმედებაში პირადი ანგარიშ. ინტერესების მიხედვით. სოც. დემოკრატ. ფრაქციის შეკითხვაში ხაზგასმით არის ნათქვამი თუ რა ზომების მიღებას აპირებს მთავრობა იმის წინააღმდეგ, რომ მომავალში მაინც არ განმეორდეს ასეთი საქმეები. მე უნდა მოგახსენოთ, რომ მთავრობას არავითარი ზომების მიღება არ შეუძლია, თუ კი დამფუძნებელი კრება იუსტიციის სამინისტროს შესაფერ დირექტივებს არ მისცემს. ერთად ერთი გამოსავალი გზა არის რაიმე დადგენილების, ან განმარტების გამოცემა დამფუძნებელ კრების მიერ, რომ ისეთი საქმეები, რომელიც რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა გააკეთეს რევოლიუციის მიხედვით არ არჩიოს სასამართლოებმა (ტაში).

კამათი შემდეგ სხდომაზე იქნება.

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

30 ივლისი.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ ბელაკუნს შემდეგი წერილი გაუგზავნა: შაბათს დილით ფოშთან თათბირის და ნაშუადღევს მცირე კომისიაში მსჯელობის შემდეგ საბჭომ უნგრეთის შესახებ შემდეგი დადგენილება მიიღო: პირდაპირი მავთულით ბუდაპეშტის მმართველებს გაუგზავნონ გაფრთხილება, რომელიც, იმედი უნდა ვიქონიოთ, შესაფერ გავლენას მოახდენს მათზე. მოკავშირეთა და მათ მეგობარ მთავრობებს ძალიან სურთ უნგრეთის ხალხთან ზავი ჩამოაგდონ და ამნაირად ბოლო აოელოს იმ მდგომარეობას, რომელიც შეუძლებელს ხდის ცენტრალურ სახელმწიფოთა ეკონომიურ აღორძინებას და მცხოვრებთათვის სურსათის მიწვდენას აბრკოლებს. ამ საქმის დაწყებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია, ვიდრე უნგრეთში არ შეიქმნება ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარი მთავრობა, რომელიც სწორედ და შესაფერად შეასრულებდეს სხვა სახელმწიფოებისადმი ნაკისრ ვალდებულებებს.“

**ვენა.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ოტტო ბაუერი გადადგა. მიზეზი საერთო მდგომარეობაა. იუწყებიან აგრეთვე, რომ დ-რ ბაუერის მოადგილეს არ დანიშნავენ და საგარეო საქმეთა დეპარტამენტს მთავრობის კანცელარიას შეუერთებენ.

**რომი.** ნიტტიმ წარადგინა ვერსალის ხელშეკრულება და ითხოვა, რომ ის გადასცენ 24 კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომელიც პალატის თავმჯდომარემ უნდა დანიშნოს.

**გერმანული პრესის ცნობები.**

გაზეთების სიტყვით, ერცბერგის სიტყვამ ეროვნულ ყრილობაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. „ფოსიშე ცეიტუნგი“ სწერს: „გერმანელი ნაციონალისტები ძალიან დამარცხდნენ. მათდამი მიმართული ბრალდება, ეჭვი არაა, ყრილობის გარეშეც დამტკიცდება. „ბერლინერ ტაგებლატი“ ამბობს: „ვეიმარში მათ მოუწოდეს, ანგარიში ჩაებარებიათ. გაზეთი ამბობს, როდესაც ერცბერგერმა სიტყვა დაასრულა, სოციალდემოკრატებმა, დემოკრატებმა და ცენტრის დეპუტატებმა მას დემონსტრაცია გაუმართეს, ხოლო ნაციონალისტებმა სტვენა და ფეხების ბრახუნი დაიწყეს, მაგრამ უმცირესობას შეადგენდნენ. „ბერლინერ ბირზ-ცაიტუნგი“ ამბობს: არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ [illegible] განცხადებამ და აგრეთვე საბუთების გამოქვეყნებამ დიდი შთაბეჭდილება [illegible] ეროვნულ ყრილობაზე.

**ინგლისური პრესის ცნობები.**

ვენიზელოსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბალკანეთში სრული მშვიდობიანობის დასამყარებლად პირველ ყოვლისა საჭიროა ოსმალეთის მთავრობა სტამბოლიდან განიდევნოს და ბულგარეთს გარს ისეთი ძლიერი სახელმწიფონი შემოერტყას, რომ ის იძულებული გახდეს პატივის ცემით მოეპყრას მათ და ანგარიში გაუწიოს მათ პოლიტიკას.

უმაღლესმა საბჭომ პარიზში კომისია დანიშნა იმ სიმკაცრეთა გამოსაძიებლად, რომელიც ვითომ საბერძნეთმა ჩაიდინა.

საზავო კონფერენციამ გადასწყვიტა ზემო სილეზიაში ჯარი გაგზავნოს, წესიერების დასაცავად და პოლონეთისა და გერმანიის ჯარების შორის შეტაკებების შესაწყვეტად. ფიქრობენ, რომ ზემო სილეზიაში გასაგზავნ რაზმში ამერიკელი ჯარიც შევა.

პოლონეთში და ყოფილ ბალტიის მხარეში სახადით ავათგახდომის 170,000 შემთხვევა იყო. ეხლა იქ იგზავნება სანიტარული ექსპედიცია, რომელსაც ამერიკელები უწევენ ხელმძღვანელობას, პოლკოვნიკ გილხკრისტის მეთაურობით.

შეერთებულმა წითელმა ჯვარმა კიდევ 3 თვის წინად ითხოვა, რომ შესაფერი ზომები მიეღოთ, მაგრამ თითონ საშუალება არა ჰქონდა და უმაღლეს საბჭოს თხოვნით ხუვერმა იკისრა ეს საქმე. პოლონეთში უკვე გადაგზავნა 700 ფურგონი სრული მოწყობილებით. პოლონეთის მთავრობის თხოვნით გილხკრისტმა უკვე წაიღო თან 700 საკრეჭი მანქანა.

ბალტიის კომისიის მოხსენებით, საზავო კონფერენციამ განკარგულება მოახდინა, რათა ბალტიის ზღვის კუნძულების ნეიტრალიზაცია მოახდინონ და ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ გადასცენ.

მიუხედავათ დღევანდელი ცნობისა მდინარე ტისაზე ბელაკუნის ჯარის დიდი დამარცხების შესახებ, უნგრეთში კვლავინდებურად დიდი უწესრიგობაა. ბელაკუნის ჯარმა მაშინ მოამზადა შეტევა, როცა პარიზის კონფერენციას ცნობები მოსდიოდა, რომ ბელაკუნის არმია იშლება და მალე მასაც ჩამოაგდებდნენ. უნგრეთის განაპირა ნაწილების მღელვარებაც ართულებს საერთო მდგომარეობას. კროაციიდან მოსული ბუნდოვანი ცნობები მოწმობენ, რომ იქ დაიწყო მოძრაობა, რომელიც სჩანს, სამხრეთ სლავიას ხელს უშლის „დიდი სერბიის“ აღდგენაში. ბულგარეთში საფრანგეთის ჯარის წინააღმდეგ მიმართული აჯანყებაც იმას მოწმობს, რომ ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება საჭირო ევროპის ცენტრის და სამხრეთის საქმეებში ჩარევა.

უმაღლესმა საბჭომ კვირას საღამოთი განაცხადა, რომ მან უნგრეთის ხალხს რადიო გაუგზავნა, რომ თუ ის ბელაკუნის მთავრობას გადააყენებს, მოკავშირენი უნგრეთის ბლოკადას მოხსნიან და სურსათს გაუგზავნიან, და დღევანდელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება, რომ კონფერენცია რყევაშია, მიიღოს თუ არა მარშალ ფოშის გეგმა უნგრეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ ძალების გაგზავნის შესახებ.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** ივ. 29. **სამხ. ცნობა. ჩრდილ. ფრონტი.** დამატებითი ცნობით ონეგის რაიონის დაჭერის დროს მტრის პოლკი ტყვიისმფრქვეველთა 2 გუნდით ჩვენს მხარეზე გადმოვიდა. ხელში ჩავიგდეთ 6 ზარბაზანი, 110 ტყვიისმფრქვეველი, 15000 თოფი, 8 ჰაეროპლანი, 3 გემი, 4 ლაზარეთი, ხაზინა და მრავალი სამხედრო ქონება, რომლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არაა. **დასავლეთის ფრონტი.** ნარვის მიმართულებით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პსკოვის რაიონში რადილოვსკის ტბის დასავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ტბის სამხრეთით ჩვენ ოდნავ დავიხიეთ. ბორიჩევის მიმართულებით ჩვენი ჯარი ხელს უშლის მტერს რკინის გზის ხიდის შეკეთებაში. ოსტროვსკის რაიონში რკინის გზის ორივე მხარეზე ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. პონოვეჟის მიმართულებით დვინის დასავლეთით მტერმა შემოგვიტია, მაგრამ მდგომარეობა აღვადგინეთ. დერანასა და დუკშტის ტბის შუა ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ. ვილენკის მიმართულებით ჩვენ ახალი პოზიციები დავიჭირეთ, მოლოდეჩნოს მიმართულებით ჩვენი ჯარი იძულებული იყო უკან დაეხია. **სამხრეთის ფრონტი.** ეკატერინოსლავის მიმართულებით ბრძოლაა. კონს-

ტანტონოგრადის მიმართულებით პოლტავის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი ბრძოლას აწარმოებს. კურსკ—ბელგოროდის მიმართულებით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ვალუის მიმართულებით ნოვო-ოსკოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 2 ტყვიის მფრქვეველი და სამხედრო ქონება, ტყვეთ წამოვიყვანეთ 100 კაცი. კარაჩსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. პოვორინოს მიმართულებით ჩვენ ბრძოლით სოფლები ავიღეთ. ბალაშოვო—კრასნი იარის მაზრაში ბრძოლაა. კამიშინის რაიონში ბრძოლაა. **აღმოსავლეთის ფრონტი.** ურალსკის რაიონში რკინის გზის სამხრეთით ჩვენ ფრონტი დავიჭირეთ. ბუზულუკის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. ორენბურგის და სტერლიტამაკის რაიონ. ჩვენმა ჯარმა რამდენიმე ვერსით უკან დაიხია. ჩელიაბინსკის რაიონ ჩვენ სად. დოლგოდერევენსკაია დავიჭირეთ. ჩვენმა ჯარმა კამიშლოვი აიღო. ტერინსკის რაიონ. ჩვენი ჯარი ტორინსკიდან 70 ვერსზე არის. **ჰელსინგფორსი.** ივლ. 26. ფინლიანდიის მუშათა გაზეთების ცნობით, უკანასკნელ ხანებში ფინეთში ჩხრეკა და დაპატიმრება ხდება. ეძებენ იარაღს და რევოლიუციონურ ლიტერატურას. **ლიონი.** ივლ. 28. ამერიკა საფრანგეთს ახალ სესხს აძლევს, რაც ძველთან ერთად 15 მილიარდ ფრანკს შეადგენს. **ნაუენი.** ივლ, 27. რუმინელებთან შეჯახების თავიდან ასაცილებლად უნგრეთის წითელმა ჯარმა თავისი ნებით უკან დაიხია, სალონიკის სიმაგრის წინა ადგილები უნგრელების ხელშია. **ნაუენი.** ივლ. 29. ჩეხებმა დროებითი ზავის პირობები დაარღვიეს. მათ ნეიტრალური ზონის რამდენიმე ადგილი დაიჭირეს. **ლიონი.** ივლ. 28. ორშაბათს მოხდა რწმუნებულთა ღრამატების გაცვლა ბულგარეთის დელეგატებსა და მოკავშირე მთავრობის რწმუნებულთა შორის. **ლიონი.** ივლ. 28. ვენიდან მოსული ცნობით, გადამდგარ მინისტრ ბაუერის ადგილას რანნერი დაიჭერს.

# ახალი ამბები

**საკანტროლო კომისიის სხდომა არის დანიშნული სამშაბათს, 5 აგვისტოს, და არა 2-ს, როგორც შეცდომით იყო გამოცხადებული.**

✦ **მოხალისეთა ჯარი და ინგუშები.** კავკავის მოხალისეთა რაზმის უფროსს გაუცია შემდეგი ბრძანება: ვიწყებთ რა სამხედრო მოქმედებას ინგუშების წინააღმდეგ, რადგან მათ არ შეასრულეს მთავარსარდლის მოთხოვნილება, რომ გამოეგზავნათ რამოდენიმე ეშელონი ჯარისა მოხალისეთა სარდლობის განკარგულებაში, ვაცხადებ, რომ იმ სოფლებმა, რომელთაც სურთ უვნებლათ გადარჩენა, გამოგზავნონ მძევლათ თითეულმა სოფელმა 10 კაცი და იმავე დროს შეუდგნენ ჯარის შეკრებას.

✦ **ინგლისურ გაზეთისათვის** სომხეთის მთავრობამ გადასდო 160,000 მან. იმ გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ, რომელიც გამოდის თფილისში ინგლისურ ენაზე „ამიერ-კავკასიის ფოსტის“ სახელწოდებით“.

✦ **ფრონტის დღე.** 29 ივლისს სასახლეში შესდგა კრება „ფრონტის დღის“ მთავარ კომიტეტისა და გვარდიის, დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმისა და საფინანსო საბიუჯეტო კავშირის წარმომადგენელთა შეერთებული სხდომა. განხილულ და დამტკიცებულ იქნა წარმოდგენილი ანგარიშები, ხოლო საბოლოო გადასინჯვა „ფრონტის დღის“ ანგარიშებისა მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა თანხები შევა კომიტეტის კასაში, რისთვისაც საჭიროა დაუყონებლივ ანგარიშები გამოუგზავნოს მთავარ კომიტეტს.

✦ **ნავთის წარმოება.** სამთო გამგეობა ნავთის წარმოების საქმის მოსაწყობათ მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისურ ფირმის წარმომადგენელთან.

✦ **ქუთაისიდან ნიკოლოზ ჭუმბურიძესაგან** შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „სახალხო საქმის“ 587 ნომერში „იქაური“-ს ფსევდონიმით მოთავსებულია ჩემს შესახებ წერილი, რომელიც თავიდან ბოლომდე სიყალბეა. რედაქციას და ავტორს პასუხისგებაში მივსცემ, რასაც წერილობით გაცნობებთ“.

✦ **მედიკამენტები საავადმყოფოებისთვის.** ქალაქის გამგეობამ საქალაქო საავადმყოფოებისთვის საჭირო მედიკამენტების შესაძენათ გადასდო 60,000 მან.

✦ **სახადი.** ივნისის განმავლობაში თფილისში ტიფით ავად გახდა 411 კაცი. აქედან დაახლოვებით 100 კაცი მომკვდარა, ყვავილით—1, წითელათი—10, ყელჭირებით—12, ხოლერით—1.

✦ **სომეხი ლტოლვილები.** მოხალისეთა ჯარის სარდლობამ ნება მისცა სამშობლოში მიმავალ სომეხ ლტოლვილებს წაიღონ თან რამოდენიმე ფუთი პურის ფქვილი. თფილისში გავრცელდა ხმები, თითქოს ეს ფქვილი საქართველოს მთავრობას ჩამოერთმიოს მათთვის რეკვიზიციის სახით. ამ ხმებს უარყოფს თვით სომხეთის მზრუნველობის წარმომადგენელი და აცხადებს, რომ არავითარ რეკვიზიციას საქართველოში ადგილი არ ქონიაო.

✦ **დენიკინმა გაიწვია ყოფილი** კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი სლავინსკი და დანიშნა თერგის ოლქას საქმეთა მომწყობ საგანგებო თათბირის წევრათ.

✦ **წარმოდგენა.** შაბათს, 2 აგვისტოს, „ავლაბრის ქართველთა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ ადგილობრივ თეატრში გაიმართება წარმოდგენა.

✦ **კონცერტი.** დაჭრილ ჯარისკაცთა სასარგებლოთ, პარასკევს, 1 აგვისტოს სახელოსნო კლუბში სამხ. სამ. საყარაულო რაზმის მომღერალ ჯარისკაცთა გუნდი ალექსანდრე მაისურაძის ლოტბარობით გამართავს სახალხო კონცერტს. გაყიდული ბილეთები 26 სთვის გამოდგება 1-ლისათვის.

✦ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** პარასკევს, 1 აგვისტოს, საღ. 7 ს. საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში (დიდი მთავრის ქ., № 70) შესდგება საქართველოს ტენხიკური საზოგადოების კრება, რომელსაც სატერმინო კომისიის მუშაობა მოხსენდება. ინჟ. ვ. კაკაბაძე წაიკითხავს მოხსენებას—„ჩვენი დედა აზრი“; ქ-ნი რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა—„ჩვენი სისტემა“.

✦ **იაფ-ფასიანი ბინების აშენება.** ქალაქის თვითმართველობაში შევიდა წინადადება იაფ-ფასიანი სანიმუშო სახლის ასაშენებლად ადგილის დათმობის შესახებ. გამგეობის წევრმა ბესელიძემ გაითვალისწინა ასეთი ბინების აშენების მეტად დიდი საჭიროება და ამ იდეის ინიციატორებს დაპირდა ორი დღის განმავლობაში დადებითი პასუხის მიცემას. ამ დღეებში უკვე შეუდგებიან სანიმუშო სახლის აშენებას. ახლო მომავალში კი ფართო მასშტაბით მოეწყობა ამ საქმის განხორციელება.

✦ **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის კვირის №-ში მოთავსებულ წერილს „რკინის გზაზე“, ხელს აწერს ზ. თევზაძე, უნდა იყოს დ. თევზაძე.

### კ რ ე ბ ე ბ ი

დღეს, საღამოს 6 ს., ბიუროს ბინაზე ს. ს. დ. მ. პ. დანიშნულია მე-6 რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს სოც.-დემოკ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს ხუთშაბათს, საღამოს 6 ს. დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ, მესამე რაიონის კოლექტივის სხდომ (კახეთის ქუჩა № 1).

— ხუთშაბათს, საღ. 5 ს. ბიუროს ბინაზე. დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

— 1 აგვისტოს საღ. 8 ს. მიხეილის სამკურნალოში შესდგება საზ. კრება საქ. ექიმთა პროფეს. კავშ. განყოფ. მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტათ,

# უცხოეთი

**არეულობა კუნძულ მალტზე.**

გაზეთ „ტაიმს“ 19 ივნისის ნომერში მოთავსებულია დაწვრილებით ცნობები კუნძულ მალტზე მომხდარ არეულობისა. 7 ივნისს, დღის 8 ნახევარ საათზე, რამდენიმე ასმა კაცმა თავი მოიყარა ლავალეტში და თავს დაესხა უნიონ კლუბს და გუბერნატორის სახლს ბრბომ დაუწყო სანტ-ლუჩის ქუჩაზე მდებარე სახლებს დარბევა. მოგლიჯეს ბრიტანეთის ბაირაღი. პოლიციას ძალა არ შესწევდა გაეფანტა აჯანყებულნი. მიმართეს სამხედრო ძალას ჯარსაც დიდი წინაღმდეგობა გაუწია ბრბომ, რომელსაც დაეჭირა ადგილობრივ გაზეთის შენობა და არბევდა მას, რედაქციას ცეცხლი წაუკიდეს. არეულობა მეორე დღესაც გაგრძელდა. ბევრი კერძო სახლი დაარბია ბრბომ.

**სოციალისტური მოძრაობა საბერძნეთში.**

ბალკანეთის ომამდე საბერძნეთში არავითარი სოციალისტური და პროფესიონალურ მოძრაობას არ ჰქონდა ადგილი. ტერიტორიის გაფართოვებას კი მოყვა ორენტაცია მარცხნივ. 1913—14 წლებში ვენიზელოსი თანაგრძნობით უყურებდა მუშათა პროფესიონალურ მოძრაობას. მაგრამ დადგა თუ არა რეაქციის ხანა, შეეცადენ მმართველი წრეები ჩაეხშოთ მუშათა მოძრაობა, რაც რასაკვირველია სისრულეში ვერ მოიყვანეს. ათინაში დაარსდა უმუშევართა ბირჟა, რომელიც მუშათა ცენტრის როლს ასრულებდა. მოძრაობას სათავეში ჩაუდგა სალონიკის მუშათა ფედერაცია, რომელმაც შესძლო სალონიკის და მაკედონიის კავშირების შეერთება. მათ მხარი დაუჭირეს საბერძნეთის პარლამენტის ორმა დეპუტატმა—სიდერისმა და კურულმა. მუშათა მოძრაობამ ფართე ხასიათი მიიღო და მთელ საბერნეთს მოედო. მეფე კონსტანტინეს პოლიტიკა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მუშებში. უკანასკნელნი მხარს უჭერდენ ვენეზილოს (მეფე კონსტანტინეს და ვენიზილოსის კონფლიქტის დროს) და ეს იყო მიზეზი, რომ მუშები ჩაებნენ რა კონფლიქტში, დაივიწყეს სოციალური ხასიათის კითხვების გადაწყვეტა. მაგრამ 1917 წლიდან, მეფე კონსტანტინე რომ გადააყენეს, მუშათა მოძრაობამ კვლავ მიიღო ფართო ხასიათი. 1913 წ. საბერძნეთში მოხდა ორი ყრილობა. პირველმა ყრილობამ დაადგინა დაარსდეს საბერძნეთის სოციალისტური პარტია. (მუშათა ინტერნაციონალის სექცია). ამ ჟამათ ინტელექტუალური ძალები პარტიისა საკმაოა. სხვადასხვა ქალაქებში გამოდის პარტიული გაზეთები. ათინაში და სალონიკში პარტიული ყოველ დღიური გაზეთები გამოდის, დაარსეს დიდ ქალაქებში ლიგები მარქსიზმის შესასწავლათ.

პარტიის წევრთა რიცხვი დღითი დღე იზრდება, მეზღვაურებიც ჩაბმული არიან მუშათა მოძრაობაში. პირველი შედეგი მუშათა ორგანიზაციის იყო ის, რომ ათინაში და პირეიში მოხდა დიდი პოლიტიკური ხასიათის გაფიცვები. ამ გაფიცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა საბერძნეთის მუშათა კლასზე.

**შეერთებული შტატები და ევროპის ფინანსიური მდგომარეობა.**

გაზ. „ტაიმსის“ ნიუიორკის კორესპონდენტი იტყობინება, რომ მორგანი აირჩიეს ბანკირების თავმჯდომარეთ, რომელმაც უნდა შეიმუშავოს გეგმა ევროპისათვის ფინანსიური დახმარების შესახებ. ამ მიზნისათვის დაარსებულ კომიტეტში შედიან ყველა დიდი ბანკების, ტრესტების და სავაჭრო სახლების წარმომადგენლები. ამგვარი კომიტეტები დაარსდა ჩიკაგოში, ბოსტონში და სხვა ქალაქებში. განზრახულია დაარსდეს კორპორაცია, რომელსაც თანხათ ექნება მილიარდი დოლარი, საიდანაც ფინანსიურად გაჭირვებულ სახელმწიფოებს მისცემენ ფულს სესხათ.

**ვილსონი—ებრაელების დარბევის შესახებ.**

„ჟურნალ დ,ორიანის“ 12 ივლისის ნომერში მოთავსებულია ცნობა, რომ ვილსონმა განუცხადა სენატს, რომ მას განზრახვა აქვს გაგზავნოს პოლონეთში სპეციალური მისია, რომელიც გამოარკვევს იქ მომხდარ ებრაელების დარბევის მიზეზებს. გარდა ამისა, პოლონეთში მყოფ ამერიკის ელჩს დაეკისრა ვრცელი მოხსენება წარუდგინოს ვილსონს, პოლონეთში მომხდარ ებრაელების დარბევის შესახებ. დაევალა აგრეთვე ბუქარესტში მყოფ ამერიკის ელჩს გამოარკვიოს რუმინიაში მომხდარი ექსცესების მიზეზები, რომლის მსხვერპლიც გახდენ ებრაელები.

**იაფი სურსათი მუშა-მოსამსახურეთათვის**

ქალაქის საბჭოს დარბაზში 29 ივლისს შესდგა სატარიფო პალატის თვითმართველობის და სხვადასხვა პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების კრება.

თავმჯდომარემ მიმართა კრებას, რათა მსურველთ გამოეთქვათ აზრი—ამ ორგანიზაციის შესახებ, რომელმაც უნდა განახორციელოს ზემოხსენებული მიზანი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ პრინციპი ამ ორგანიზაციის დაარსებისა არ ყოფილა განხილული ყველა სექციებში. ამიტომ არც ერთ სექციის წარმომადგენელს არ შეეძლო გამოეთქვა თავისი აზრი, თუ რა პრინციპზე უნდა აშენდეს ეს ორგანიზაცია. რადგან ამავე აზრს გამოსთქვამდენ ყველა ორატორები, ამიტომ მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: ეთხოვოს სატარიფო პალატას შეიმუშავოს პროექტი ამ ორგანიზაციისა და გამოაქვეყნოს ის გაზეთებში, რათა თვითეულ სექციას საშუალება მიეცეს ყოველმხრივ განიხილოს საკითხი და სათანადო გეგმით წარსდგეს შემდეგ სხდომაზე.

# სააღგილ-მამულო რეფორმა

**საშუალო შეღავათიანი ფასები საფონდო მიწებზე.**

თანახმად მიმდინარე წლის 28 იანვრის კანონის მე-17 მუხლისა და მიწათ-მოქმედების სამინისტროსი მოხსენებისა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 24 ივლისის სხდომაზე დაამტკიცა შემდეგი შეღავათიანი ფასები საფონდო მიწებზე:

**დასავლეთ საქართველოში (სიმინდი)**

| მიწების კატეგორიები | მოსავალი სიმინდისა ერთი დესეტინიდან | |
|---|---|---|
| 1-ლი კატეგორია | 150 ფუთი | X |
| 2 „ | 100 „ | X |
| 3 „ | 60 „ | X |
| საბალახო (ВЫГОНЫ) | — | |

| ფასი ერთი ფუთი სიმინდისა. | საერთო შემოსავალი 1 დესეტინა მიწისა. |
|---|---|
| 100 მანეთი | 15,000 მანეთი |
| 100 „ | 10,000 „ |
| 100 „ | 6,000 „ |

| შეღავათიანი ფასი 1-ლი დესეტინისა. | ფასების ცვალებადობა. |
|---|---|
| 1500 მანეთი | არა ნაკლებ 1500 მ. |
| 1000 „ | 1000 მ.-დან 1500-მდე |
| 600 „ | 600 მ.-დან 1000-მდე |
| 300 „ | 300-დან 400-მდე |

**აღმოსავლეთ საქართველოში (ხორბალი)**

| მიწების კატეგორიები | მოსავალი პურისა ერთი დესეტინიდან | |
|---|---|---|
| 1-ლი კატეგორია | 60 ფუთი | X |
| 2 „ | 50 „ | X |
| 3 „ | 30 „ | X |
| საბალახო (ВЫГОНЫ) | — | |

| ფასი ერთი ფუთი ხორბლისა | საერთო შემოსავალი 1 დესეტინა მიწისა. |
|---|---|
| 200 მანეთი | 12,000 მანეთი |
| 200 „ | 10,000 „ |
| 200 „ | 6,000 „ |

| შეღავათიანი ფასი 1 დესეტინისა. | ფასების ცვალებადობა. |
|---|---|
| 1200 მანეთი | არა ნაკლები 1200 მ-თისა |
| 1000 „ | 1000 მ-დან 1200 მდე |
| 600 „ | 600 მ-დან 1000-მდე |
| 300 „ | 200 მ-დან 300-მდე |
| საბალახო (ВЫГОНЫ) | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 22 ივლისს შესდგა საგანგებო კრება შორაპნის მაზრის კომიტეტისა. მოწვეულნი იყვნენ ზესტაფონის და რკინის გზის კოლექტივის პრეზიდიუმი, ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წარმომადგენელი, შორაპნის ერობის და ყვირილა-შორაპნის სახალხო გვარდიის შტაბის ს.-დ. ფრაქციის პრეზიდიუმი. აგრეთვე კრებას დაესწრო ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი და სხვა პარტიული ამხანაგები. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: საგამომძიებლო კომისიის მოხსენება ყოფილ მილიციის უფროსის გაჩეჩილაძის წარსული მოღვაწეობის შესახებ; 2) ამხ. პ. გოგიაშვილის განცხადება; 3) ადგილობრივი თვითმართველობის მდგომარეობა; 4) მიმდინარე საკითხები.

კრებამ მოისმინე ვრცელი მოხსენება კომისიისა პირველ საკითხზე, გაეცნო კომისიის მიერ წარმოდგენილ დებულებას ამ საკითხზე და ზოგიერთი შესწორებით სავსებით დაადასტურა დიდი კამათის შემდეგ.

უფრო მნიშვნელოვანი იყო პარტიული საქმიანობისათვის მეორე საკითხი. ამხ. გოგიაშვილი იყო სამაზრო ერობის თავმჯდომარეთ. მისი თავმჯდომარეობის დროს ხდება ინციდენტი გაჩეჩილაძესა და გვარდიელთა შორის, რაც ბადებს მითქმა-მოთქმას პარტიულ წევრთა შორის. იმდენათ რთულდება ეს მდგომარეობა, რომ თითქმის ორ ბანაკათ ყოფს ამხანაგებს. ამას მოსდევს ამხ. გოგიაშვილის გადადგომა თანამდებობიდან და ეს მდგომარეობა რთულდება და ღრმავდება ინსტიქტიურათ ორგანიზაციაში დღემდე ვერ დაისვა ეს საკითხი ჯეროვანი პასუხის გასაცემათ. ორივე მხარე გრძნობს მდგომარეობის სირთულეს და მავნებლობას ამგვარ პირობების შექმნით. ორივე მხრით კითხვა ისმის: რატომ, რისთვის ღებულობს ასეთს მახინჯს სახეს ჩვენი მუშაობა? სურვილი თითქო ერთი არის და საქმე კი ერთ კალაპოტში არ ყალიბდება. 22 ივლისის შეერთებულმა კრებამ გასცა ჯეროვანი პასუხი ამ გარემოებას. სხდომამ ერთხმად აღიარა პარტიული მუშაობისთვის გაორკეცებული ენერგიით საქმიანობა, ვინაიდან დღეს მთელი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი მუშაობა შექმნილმა პირობებმა თავს დაადვა მხოლოდ ჩვენს პარტიას, ამიტომ ყველა წევრი ვალდებულია გრძნობდეს ამ მეტად მძიმე მოვალეობას, ყვირილის მაზრის ორგანიზაციებმა და პარტიულმა ამხანაგებმა ღირსეულად შეაფასეს საერთო მდგომარეობა და შესაფერი დადგენილებაც გამოიტანეს, რომელმაც აღმოსწურა სამუდამოთ ის უთანხმოება, რომელსაც ჰქონდა სამწუხაროთ ამ მაზრაში ადგილი.

კრებამ იქონია რა მსჯელობა ზემო აღნიშნულ კითხვაზე მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) კრება გამოსთქვამს მწუხარებას იმ მითქმა-მოთქმის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონია ზოგიერთ პარტიულ ამხანაგთა შორის, რაც პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებში არ ყოფილა დღემდის განხილული. 2) კრება ღრმათ არის დარწმუნებული, რომ ასეთ არა ნორმალურ მდგომარეობას არ ექნება არავითარი ადგილი და მით დაცული იქნება პარტიული მუშაობის მთლიანობა. ამიტომ კრება მოუწოდებს ყველა ამხანაგებს

პარტიული მუშაობის მთლიანობის და გაღრმავებისაკენ და ამ საერთო კრიტიკულ მდგომარეობაში მთელი თავისი ენერგიის მოსახმარებლათ პარტიული მუშაობისათვის. ასე დათავდა კრება და ყველა წევრი კმაყოფილი დაუბრუნდა თავის საქმეს, სრულიად დაიმედებული, რომ მომავალში აღარ ექნება ამგვარ მოვლენას ადგილი. ი. ბ.

# მუშათა შორის

თფილისი (რკინის გზის ფურნე). 8—9 მარტს შრომის სამინისტროს კანცელიარიაში შესდგა საარბიტრაჟო კომისიის სხდომა. გასარჩევი იყო—რკინის გზის ცენტრალურ სასურსათო კომიტეტის ფურნის გაფიცულ მუშების მოთხოვნილებათა განხილვა. სხდომას თავმჯდომარეობდა შრომის სამინისტროს რწმუნებული. ამ დარგის მუშებს წარუდგენიათ მოთხოვნილება: 1) ფურნის მუშები არ უნდა ითვლებოდენ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების პროფესიონალურ კავშირის წევრებათ—და მათ უნდა მიეცეთ საშუალება, ჩაეწერონ წევრებათ მხოლოდ სავაჭრო სამრეწველოს მოსამსახურეების კავშირში. 2) ფურნის მუშებს არ უნდა გადახდეთ პროფესიონალური კავშირის სასარგებლოთ პროცენტები. დათხოვნილი მუშა-მოსამსახურეები უკან უნდა იქნენ მიღებულნი. იყო აგრეთვე სხვა მოთხოვნილებებიც. საარბიტრაჟო კომისიამ გაითვალისწინა რა ყოველივე, დაადგინა:

1) რკინის გზის ცენტრალურ სასურსათო კომიტეტის ფურნის მუშები უნდა დათანხმდენ აღნიშნულ რკინის გზის პროფესიონალურ კავშირის წევრობაზე—წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ შეუძლიანთ ისარგებლონ რკინის გზაზე მოსამსახურეებისათვის არსებულ შეღავათებით და უპირატესობებით.

2) ფურნის მუშა-მოსამსახურებს არ დაუბრუნდებათ უკანვე მათ მიერ რკინის გზის კავშირში შეტანილი ფული, რომელიც შესდგება მათ ჯამაგირის 1 პროც. გადასახადიდან.

3) ჩაითვალოს დაუსაბუთებლათ მუშა-მოსამსახურების მოთხოვნილება — კობახიძეს ფურნის გამგეს თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

4) სამუშაო დრო ფულის მიმღებლების და პურის გამყიდველების არ უნდა აღემატებოდეს კვირის განმავლობაში 46 საათს. უქმე დღეებში მუშაობა თუ ის არ აღემატება განსაზღვრულ 46 საათს, ზედმეტ მუშაობათ არ ჩაითვლება. ზედმეტ მუშაობისათვის კი უნდა მიეცეს ჯილდო არსებული კანონების თანახმად.

5) 100 ფუთის გადაწონის დროს დანაკლისის დასაფარავათ ჩაითვალოს 40 გირვანქა საკმარისათ.

6) დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეებიდან უკანვე იქნეს მიღებული ჩოხონელიძე, დანარჩენ 6 მუშამ უნდა მიიღოს ანგარიში თანახმად 1918 წ. 14 იანვრის დეკრეტისა.

7) ფურნის მუშა-მოსამსახურეების გაფიცვა არ იყო გამოწვეული საქმის მდგომარეობით და არც დადასტურებული სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეების კავშირის მიერ, ამიტომ ასეთი უორგანიზაციო გამოსვლა მუშებისა მავნებელია, როგორც საქმისათვის ისე მუშათა კლასის ინტერესებისათვის. X.

# პროვინცია

თიანეთი. 19 და 20 ივლისს გვარდიის სამაზრო შტაბმა მოაწყო ფრონტის დღე, გამართა ხელის მოწერა ფრონტის სასარგებლოდ.

19 ივლისს, დრამატიულმა წრემ გამართა წარმოდგენა. დადგმულ იქნა „ციმბირელი". წარმოდგენის წმინდა შემოსავლის 30 პროც. —სულ 500 მან. გადაიდო ფრონტის სასარგებლოდ.

20 ივლისს ფრონტის დღეების მომწყობ კომისიის მიერ გვარდიის შტაბის ბაღში გამართული იქნა საღამო-სეირნობა. ხალხი ბლომად დაესწრო და კმაყოფილი დარჩა. საღამომ დასტოვა 3000 მანეთამდე.

22 ივლისს, შესდგა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის კრება. ერობის მნიშვნელობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ვლ. პაპავამ.

2 აგვისტოსთვის მოწვეულია პირველი საორგანიზაციო ერობის სამაზრო ხმოსანთა ყრილობა ადგილობრივ თეატრის დარბაზში, ყრილობის საგანი არის გამგეობის, ყრილობის პრეზიდიუმის და ზოგიერთ კომისიების არჩევა. აგრეთვე ფრაქციები გამოვლენ თავიანთი დეკლარაციებით.

10 აგვისტოს, დაიწყება დამფუძნებელ კრების დამატებითი არჩევნები ხევსურეთში. არჩევნებს ხელმძღვანელობს მაზრის საარჩევნო კომისია.

მაზრაში ადმინისტრაციის რეორგანიზაცია ხდება, მაზრის კომისარის ბოგდანოვის მიერ, მისი მოქმედებით ხალხი კმაყოფილია.

მაზრაში ცარცვა-გლეჯა ყაჩაღობა შემცირდა. გავრცელებული ხმები ყაჩაღობის შესახებ ძლიერ გაზვიადებულია. X.

ჩოხატაური (გურია). დაიწყო პარკის სეზონი თუ არა, ჩოხატაურის კოოპერატივთა რაიონულ კავშირმა „მნათობმაც" დაიწყო მისი შეძენა. იმაზედ ლაპარაკი და ახსნა განმარტება, თუ რას ნიშნავს დღეს ჩვენთვის აბრეშუმის პარკი, შავი ქვა, თამბაქო და სხ. ზედმეტია, ვინაიდან ამ საგანზე არა ერთხელ ყოფილა წერილები მოთავსებული ჩვენს გაზეთებში. მე შევეხე მხოლოდ ერთ არა სანუგეშო ფაქტს ჩვენი ცხოვრებიდან: კარგათ მოეხსენებათ მეაბრეშუმეებს, რომ იმ პირებმა, ვინც გასულ წელს მიაბარეს პარკი ჩ. კ. რ. კავშირს ავანსათ უკვე მიიღეს ნედლ ფუთ პარკზე იმდენივე, რაც მათ ამხანაგებს მისცეს გასულ წელს კერძოთ ჩარჩ-ვაჭრუკანებმა და აი, ამ წუთში, როდესაც ამ წერილს ვსწერ შეუძლიან კიდევ დამატებითი მიიღონ ფუთსავე პარკზე 400 მ, 350 მ. ე. ი, მთლათ მიიღებენ 4—5-ჯერ მეტს რაც მათმა ამხანაგებმა აიღეს გასულ წელს. ასე რომ ვიანგარიშოთ, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ უვიც მოქალაქეებმაც ყოველ ათასს ფუთ პარკზე მოაგებიეს ჩარჩებს სამას ათას მანეთამდე და ისეც გასქელებული ჯიბე მთლად გაუსქელეს და თავის თავი კი გაყვლეფილი დასტოვეს!!! იმათ კი, ვინც კავშირს დაუტოვეს, მიიღებენ ყველა ამ მოსაგებს! ამაზედ თუ იმას მეტყვით, მოქალაქე, რომ გასულ წელს ფულის კურსი გაცილებით მეტი იყოო, არ არის მთლათ მართალი, ვინაიდან მაშინ სიმინდი ფასობდა 100 მანეთათ და დღეს კი 90 მანეთია ჩოხატაურში და ნაკლებიც. მართალია, ზოგიერთ საგნებში ფულის კურსი მთლათ დაეცა, მაგრამ ეს გარდამავალია და ისევე იმ სპეკულიანტების ბრალია. თქვენ გასულ წელს პარკი ხელთ უგდეთ. დღეს კი დროა გონს მოვიდეთ და მტერი მოყვარესაგან გავარჩიოთ. კოოპერატივი და კერძო სავაჭროები ერთი მეორესგან განვასხვაოთ! მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ეს ასე არ ხდება და ყველა ის პარკი, რაც კავშირის ფარდულში უნდა მოსულიყო, იზას სცდება და ისევ ნაწილი მისი კერძო ჩარჩსპეკულიანტების ხელში ვარდება! არ არის ეს კარგი მოქალაქენო! პირობები კავშირის საუცხოვოა. აი მისი განცხადებაც: ჩოხატაურის რაიონული კავშირი „მნათობი" აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ის თავის ფარდულში ღებულობს პარკს შემდეგი პირობებით: ვიტყვი მაზანდაზე, დღეს მაზანდა ფუთზე 500 მანეთია და მსურველებს შეუძლია ფული დღესვე მიიღონ. მსურველს შეუძლია დასტოვონ თავისი პარკი პარკი ფარდულში გასახმობათ და ავანსათ დღესვე ეძლევა ფუთ ნედლ პარკზე ორასი მანეთი, დანარჩენი გაყიდვს შემდეგ. განა ასეთი პირობების შემდეგ შესაძლებელი უნდა იყოს შეგნებული მოქალაქეთათვის, რომ თავისი პარკი ჩარჩებს ჩაუგდონ ხელში? ეს ან უვიცობაა და ან ღალატი კოოპერატიული პრინციპების და ნურას უკაცრავათ თუ ის ვაჟბატონები, რომელთაც თავისი პარკი ჩარჩებს ჩაუგდეს ხელში, ჩითს და სხ. რასაც ჩვენი კოოპერატივი მიიღებს, ისინი ვერ მიიღებენ.

საჭიროა კოოპერატივებმა ლექციები მოაწყონ ხალხში ფულის წარმოშობის ისტორიიდან და საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ. მანენი.

# რკინის გზაზე

**საშემოსავლო ნაწილში.**

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ერთობის" 27 ივლისს მე-166 ნომერში მოთავსებულია ბ. თევზაძის წერილი საშემოსავლო ნაწილის სექციის გამგეობის მოქმედების შესახებ. მე შევეხები მხოლოდ წერილის ფაქტიურ მხარეს. მთელი წერილი აგებულია შემდეგ დებულებებზე: 1) სექციის გამგეობა ზევიდან არის მოვლინებული, 2) უმნიშვნელო ჯგუფმა განყოფილებების უფროსებისამ შეადგინა კანდიდატთა სია. 3) ზოგიერთ მოსამსახურეებს არჩევნების უფლებები წაართვეს, 3) არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ოცდა ხუთმა კაცმა და 5) სექციის გამგეობის წევრმა ლექავამ შუშა დაკარგა და ღირებული ფასი მოსამსახურეებს გადაახდევინა.

ეს არის წერილის არსებითი მხარე (ფანტაზიის მიერ ნაკარნახევი).

სინამდვილე შემდეგშია: 1) საქ. რკ. გზის ყველა რაიონების და სექციების გამგეობის და მათ შორის საშემოსავლო ნაწილის სექციის გამგეობის არჩევნები მოხდა ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ ორგანიზაციონული კომისიის ხელმძღვანელობით, 2) კანდიდატთა სია საშემოსავლო ნაწილის სექციის ეხლანდელი შემადგენლობისა შეიმუშავა საშემ. ნაწილის ს. დ. მ. პ. ფრაქციამ, 3) არჩევნების უფლებები არავის წართმევია, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს სახ. რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის წესდების ძალით არ ჰქონდათ უფლება არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა, ვინაიდან არ ითვლებოდნენ კავშირის წევრებათ, როგორც დროებით სალიკვიდაციო სამუშაოსათვის მოწვეულნი (მაგალ. როგორც იყო წერილის ავტორი ბ. თევზაძე), 4) როგორც სჩანს კომისიის მიერ ხელმოწერილი არჩევნების ოქმიდან, არჩევნების დღეს ას ოცი მოსამსახურისაგან ავადმყოფობის, განთავისუფლების და „კომანდიროვკების" გამო არ გამოცხადებულა სამსახურში 21 კაცი. დანარჩენი 99 კაცისაგან არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 50 კაცს. ამ რიცხვიდან 37 ხმა მიუღია საქ. ს. დ. მ. პ. კანდიდატთა სიას. დანარჩენი—ცამეტი—სხვა უპარტიოსიებს. არჩევნები მოხდა ყუთების საშუალებით, პროტესტი კი არსაიდან არ შემოსულა, 5) შუშის მოტანა ბ ლექავას დაავალეს თვით-მოსამსახურეებმა ენკენისთვეში (მაშინ სექციის გამგეობა არ არსებობდა, იგი დაარსდა 27 ნოემბერს).

მართალია ლექავამ თუ იურიდიული საბუთები, ოქმები და სხვა, შუშის დაკარგვისა ვერ წარმოადგინა, მაგრამ მოსამსახურეებმა გაითვალისწინეს რა მოწმეთა ჩვენება და ის არევდარევა და უწესოებანი, რომელნიც იმ დროს რკინის გზებზე იყო გამეფებული, რომელნიც წინ უსწრობდნენ შუშის დაკარგვას და რომელთა წყალობითაც შუშა იქმნა გატაცებული, თანხმობა განაცხადეს სექციის გამგეობის დადგენილებაზე და დაკარგული შუშის ფასის თვის შორის განაწილებაზე.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ თუ ბ. თევზაძეს მართლა გულწრფელად აინტერესებდა ზემო აღნიშნული საკითხები, მას უნდა მიემართა უპირველესად ყოვლისა იმ ორგანიზაციებისათვის, პროფესიონალურისა თუ პარტიულის, რომელთა წევრათაც ვითვლებით როგორც ჩვენ, ისე ბ. თევზაძე. ასეთ ორგანიზაციათ ითვლება საქარ. სახაზ. რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი და იმავე გზის სოც. დემოკრატიული პარტიის ქვეკოლექტივი. აი ამ ინსტანციებში უნდა გადაეტანა ბ. თევზაძეს, თუ იგი მოწადინებული იყო წამოყენებელი საკითხების ორგანიზაციული წესით გადაეწყვიტა. მაგრამ ბატ. თევზაძეს მარცხი მოუვიდა. სწორეთ საშემოსავლო ნაწილის ს.-დ. ფრაქციაში მან ეს საკითხი წააგო და კრების დიდმა უმრავლესობამ სექციის გამგეობას ნდობა გამოუცხადა.

მაშ რაშია საქმე? რა მოსაზრებით ან ვისი დავალებით აუმხედრდა სექციას ბატონი თევზაძე?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ გვიძნელდება და ვიტყვით, რომ იგი მოგვევლინა საშემოსავლო ნაწილის უფროსის ჰირისუფლად.

აკი ბ. თევზაძე თავის წერილის დასაწყისში სექციას ბრალს სდებს, რომ მან თავისი მოღვაწეობა თითქმის უფროსის საწინააღმდეგო ბრძოლას მოანდომაო.

აი სწორეთ ძაღლის თავი აქ მარხია. დავამშვიდებთ ბ. თევზაძეს და მოვახსენებთ, რომ უფროსის საკითხი მოკლე ხანში გადაწყდება პროფესიონალურ კავშირის გამგეობის და გზის უმაღლეს ადმინისტრაციის მიერ და აქ ბ. თევზაძეს ვექილობა დაგვიანებულათ უნდა ჩაითვალოს.

აი მთავარი დედა აზრი მისი წერილისა და უკმაყოფილებისა, მაგრამ თავის წერილში მან გაბედულათ ეს ვერ აღნიშნა და ლობეყორეს მოედო.

საშემოსავლო ნაწილის სექციის გამგეობის თავმჯდომარე არ. ლომიძე

მდივანი ირად. ჯაფარიძე.

# ცნობები

გთხოვთ გამოაცხადოთ გაზეთში შემდეგი ჯარის კაცები: ისაკ საჩინოს ძე ბლიაძე, სოფ. ბერის-საყდარი, კოტე იოსებისძე ტაბატაძე, სოფ. ბანის-ხევი და არჩილ ივანეს ძე ჭანკოტაძე, სოფ. ახალდაბა (გორის მაზრა), რომლებიც მსახურებდენ ახალციხისაკენ მე-2 სანაპირო პოლკში და არიან დაკარგულნი უკვალოთ. მისამართი ბორჯომის სარაიონო ერობის ბინა.


# განცხადებანი

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა დღეიდან

**კერძო საავადმყოფო**

ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდამ საღმოს 8 საათამდე, (24—1)

# იყიდება საოჯახო ნივთები

ხალიჩები, ჭურჭელი, ქალის ტანისამოსი და სხვ იკითხეთ სემიონოვის ქ. № 4 ბინა № 1. (2—1)

# დ ა ვ კ ა რ გ ე

ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის საწევრო ბარათი № 425, რომელსაც გაუქმებულად ვაცხადებ. დავით პავლეს ძე კორტი.

# ბრინჯი 8 მან. გირვანქა, ქიშმიში 14 მანეთათ გირვანქა

იყიდება ლგოტაკის მაღაზიაში, ოლღას ქუჩა № 3. (1—1)

# ი ყ ი დ ე ბ ა

**ორი რკინის ბადიანი ფანჯარა და 1 კარი ნიკო კურდღელაშვილთან.**

ვაკე, სახლი ქდანოვისა (4—1)

1919 წ. იანვარში ტუაფსის ქ. შ. წ. კ. გ. საზ. განყოფილებამ გამომატანა 10,000 მან. ფული და თან წერილები ის წერილები გზაში **დავკარგე**. და დღემდის ფული არ გადამიცია დანიშნულებისამებრ და არც ვიცი თუ ვის უნდა გადავსცე, ამიტომ ზემო ნახსენებ საზ. საყურადღებოთ ვაცხადებ: მაცნობოს თუ ვის გადავცე ეს 10,000 მან. და როგორ მოვიქცე. ჩემი ადრესი: ქ. ქუთაისი, აბრამ პაპიაშვილს. (2—2)

ექიმი **ა. დ. კეკელია**

ს ი ფ ი ლ ი ს ი და ვ ე ნ ე რ ი უ ლ ი სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914" მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებ. სამშაბათობით და შაბათობით დილ. 8—10 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მ ა ლ ა რ ი ი თ (ციება და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ზ. მეძრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X-სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საექიმო კაბინეტი

ექიმ **ქ. თ. ტყეშელაშვილის**

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნაშ. საათ.

ექიმი ქალი **რ. ნ. შიშლო-ხაბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი **მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნაშ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.


მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.